



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახალციხის მურა ნახშირის საბადო

ახალციხის მურა ნახშირის საბადო, მდებარეობს ახალციხის, ნაწილობრივ ადიგენის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), ახალციხის ქვაბულში.

სამრეწვ. ნახშირიანობა დაკავშირებულია წარბასთუმან-ვალის სინკლინთან. ზედაოლიგოცენური ნახშირიანი წყება განლაგებულია ქვედა და შუაოლიგოცენურ თიხებსა და ქვიშაქვებს (სისქე 600 - 750 მ) და ზედაოლიგოცენურ ფერად წყებას (თიხები და თიხიანი ქვიშაქვები, სისქე 450 - 500 მ) შორის. ნახშირიან წყებაში გამოიყოფა: ქვედა წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვები (20-40 მ), პროდუქტიული თიხიანი წყება (50 - 150 მ) და ზედა ქვიშაქვები (30 - 50 მ). საბადოზე დადგენილია 5 ნახშირიანი ფენა (ჰორიზონტი): 3 - საკუთრივ პროდუქტიულ წყებაში და 2 - ფერად წყებაში. მთავარი სამრეწვ. მნიშვნელობა აქვს პროდუქტიული წყების ზედაფენას. გენეტიკურად ნახშირი განეკუთვნება ჰუმუსურ ტიპს. სიმკვრივე - დაახლ. 1,5 ტ/მ³, ტენიანობა - 21%, ნაცრიანობა - 12 - 45%, ქროლადების შემცველობა - 48%, გოგირდისა - 2,5%, თბოუნარიანობა - 3800 - 4000 კკალ/კგ.

საბადოს რ-ნის გეოლ. შესწავლა XIX ს. შუა წლებში დაიწყო, ხოლო გეოლ.-საძიებო სამუშაოები საბადოზე - 1931. იმავე წელს ადგილ. მრწველობამ დაიწყო საბადოს დამუშავება. 1941 შეუდგნენ კაპიტ. შახტების მშენებლობას, ხოლო 1945 - საბადოს ექსპლუატაციას. ამჟამად ნახშირის მოპოვების არარენტაბელურობის გამო, რაც განპირობებულია მოპოვების რთული სამთო-გეოლ. პირობებით და ნახშირის დაბალი ხარისხით, საბადოს ექსპლუატაცია შეწყვეტილია.

კ. გოცირიძე
